დამტკიცებულია 2014 წლის 5 ნოემბრის აკადემიური საბჭოს 105-ე სხდომის ოქმით,
შევიდა ცვლილება 2016 წლის 27 სექტემბრის აკადემიური საბჭოს სხდომის 23-ე ოქმით;

შევიდა ცვლილება 2016 წლის 27 დეკემბრის აკადემიური საბჭოს სხდომის 26-ე ოქმით;

შევიდა ცვლილება 2017 წლის 28 მარტის აკადემიური საბჭოს სხდომის 3-ე ოქმით;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზნები

1.1 ეს დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის წესს, დოქტორის ხარისხის მინიჭების კრიტერიუმებს, დოქტორანტურაში მიღების წესს, დოქტორანტურის აკადემიურ შინაარსს, დოქტორანტურის მიზნებს, სადისერტაციო ნაშრომის და სადოქტორო პორტფოლიოს დაცვის წესს, ხოლო ამ საკითხებთან დაკავშირებული დავების წარმოშობის შემთხვევაში, მათი გადაჭრისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს;

1.2 დოქტორანტურის ძირითადი მიზნებია ახალი თაობის მომზადება მეცნიერებასა და ხელოვნებაში, უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი პოტენციალის განვითარება და გაფართოება;

1.3 დოქტორანტურის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტი იღებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს. სტუდენტს ენიჭება ეს ხარისხი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) გამოავლინა საკუთარი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;

ბ) გამოავლინა კვლევის ან/და შემოქმედებითი პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი;

გ) განახორციელა ორიგინალური კვლევა ან/და შექმნა ორიგინალური კომპოზიცია/ინტერპრეტაცია, რომელიც აფართოებს ცოდნის საზღვრებს და რომელიც (მთლიანად ან ნაწილობრივ) იმსახურებს რეფერირებულ გამოქვეყნებას და/ან საერთაშორისო დონის პუბლიკაციას/რეცენზირებას; ან ჰქონდა საჯარო შესრულება/გამოფენა/კრიტიკული გამოხმაურება;

დ) აქვს ახალი და კომპლექსური იდეების კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და სინთეზის უნარი; შეუძლია საერთაშორისო სამეცნიერო თემატურ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება;

1.4 დოქტორანტურის ფარგლებში განხორციელებული კვლევითი ან/და შემოქმედებითი პროექტები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას;

1.5 ფაკულტეტს/სკოლას შეუძლია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართოს სხვა სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო დაწესებულებები უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 2. სადისერტაციო საბჭო

2.1 დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ქმნის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს;

2.2 სადისერტაციო საბჭო იქმნება ყოველი კონკრეტული დისერტაციის ან პორტფოლიოს განხილვისათვის და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის;

2.3 სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა სიას აკადემიურ საბჭოს წარუდგენს შესაბამისი დარგობრივი კომისია;

2.4 სადისერტაციო საბჭოში უნდა შედიოდეს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/ქვედარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უვადო ან უვადოზე ორიენტირებული კონტრაქტის მქონე პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუს პროფესორი. იმ შემთხვევაში, თუ დაცვა (პროსპექტუსის, სადისერტაციო ნაშრომის) ხდება უცხო ენაზე, სადისერტაციო საბჭოში უნდა შედიოდეს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/ქვედარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უვადო ან უვადოზე ორიენტირებული კონტრაქტის მქონე პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ემერიტუს პროფესორი, რომელსაც გააჩნია უცხო ენის კომპეტენცია (უცხო ენაზე მიღებული განათლება; ენის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო სერტიფიკატი; უცხოენოვანი პუბლიკაცია); სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი/პირები სხვა, მათ შორის საერთაშორისო აკადემიური დაწესებულებიდან; სადოქტორო პორტფოლიოს შემთხვევაში კი ასევე საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კომპოზიტორი ან შემსრულებელი. მოწვეულ პროფესორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს უნივერსიტეტის პროფესორთა რაოდენობას;

2.5 სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, დისერტანტს უფლება აქვს, აცილება მისცეს სადისერტაციო საბჭოს წევრს/წევრებს. ასეთ შემთხვევაში, წევრი/წევრები უნდა შეიცვალონ იმ პრინციპით, რა პრინციპითაც ხდება სადისერტაციო საბჭოს შექმნა.

მუხლი 3. დარგობრივი კომისია

3.1 დარგობრივი კომისიები იქმნება შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს მიერ, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამების და მიმართულებების მიხედვით;

3.2 დარგობრივი კომისია შედგება უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორებისაგან და მას თავმჯდომარეობს ერთ-ერთი წევრი;

3.3 დარგობრივი კომისია მონაწილეობს დოქტორანტურაში მიღებასთან და სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებში, როგორიცაა:

ა) დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველების განაცხადების მიღება, განხილვა და შეფასება, მათთან გასაუბრება;

ბ) პროსპექტუსის ან პორტფოლიოს მონახაზის დაცვა;

გ) სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატთა სიის წარდგენა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის;

დ) სადისერტაციო ნაშრომის/პორტფოლიოს დაცვისათვის რეცენზენტის/რეცენზენტების შერჩევა და წარდგენა აკადემიური საბჭოსათვის;

ე) დოქტორანტის საერთაშორისო პუბლიკაციის შესაბამისობის დადგენა მის სადისერტაციო თემასთან;

ვ) დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელის შეცვლის ან ხელმძღვანელის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე უარის განაცხადების განხილვა.

მუხლი 4. დოქტორანტურის ადმინისტრაცია

4.1 სადისერტაციო საბჭოს და დარგობრივი კომისიების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ისევე, როგორც ყველა სახის საქმისწარმოებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაცია.

თავი II. დოქტორანტურაში მიღება

მუხლი5. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

5.1 დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

მუხლი 6. დოქტორანტურაში მიღება

6.1 დოქტორანტურაში მიღებას, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს ან/და დეკანის წარდგინების საფუძველზე, აცხადებს რექტორი. მიღება შეიძლება გამოცხადდეს როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრისათვის. დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შევსებული ანკეტა (ფორმა №1 თან ერთვის);

ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის ფლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი (უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) 2 ფოტოსურათი;

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე მიღების მიზნებისთვის დამტკიცებული, აპლიკანტის ან მისი პოტენციური ხელმძღვანელის მიერ შევსებული სააპლიკაციო ფორმები, რომლებიც განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე პროგრამაზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე;

ზ) სხვა დოკუმენტები, რომელსაც შეიძლება ითხოვდეს ცალკეული პროგრამა.

6.2. რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა განისაზღვროს დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია;

6.3 დოქტორანტობის კანდიდატები გადიან ტესტირებას ინგლისურ ენაში (B2 დონე). ტესტირების მინიმალური ზღვარი დგინდება ყოველი პროგრამისთვის ინდივიდუალურად და მიეთითება პროგრამის მიღების პირობებში;

6.4 ინგლისური ენის ტესტისაგან თავისუფლდებიან აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ ინგლისური ენის სასურველ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ ვალიდურ საერთაშორისო სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს კანდიდატის ენის მინიმალურ კომპეტენციას B2 დონეზე. ტესტისაგან თავისუფლდებიან აგრეთვე ის აპლიკანტები, რომელთაც აქვთ ბაკალავრის ან მაგისტრის ინგლისურენოვანი პროგრამის დიპლომი;

6.5 ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების ან ცოდნის დადასტურების შემდეგ კანდიდატების მიერ პროგრამაზე წარმოდგენილი დოკუმენტები/ფორმები იგზავნება შესაბამისი დარგობრივი კომისიის წევრებთან განსახილველად და შესაფასებლად. პოტენციური ხელმძღვანელი კანდიდატის შეფასებაში არ იღებს მონაწილეობას. განაცხადის მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები დგინდება ყოველი პროგრამისთვის ინდივიდუალურად და განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე. დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, აპლიკანტი გაივლის გასაუბრებას;

6.6 დარგობრივი კომისიის მიერ გასაუბრების შეფასება ხდება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების, კრიტერიუმების და რუბრიკების მიხედვით. გასაუბრების მოთხოვნები, კრიტერიუმები და რუბრიკები ყოველი პროგრამისთვის დგინდება ინდივიდუალურად და განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ყოველი მიღების გამოცხადებისთანავე. გასაუბრება ფასდება 5-ქულიანი სარეიტინგო სკალის მიხედვით;

6.7 სადოქტორო პროგრამის აპლიკანტის ერთიანი სარეიტინგო ქულის დაანგარიშების წესი ინდივიდუალურად განისაზღვრება ყოველი პროგრამისთვის და განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე პროგრამაზე მიღების გამოცხადებისთანავე.

მუხლი 7. უცხოეთის მოქალაქის მიღება დოქტორანტურაში

7.1 დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;

7.2 კანდიდატმა ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში 6.1 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გარდა უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარება;

მუხლი 8. მობილობა დოქტორანტურაში

8.1 დოქტორანტურაში სტუდენტი შეიძლება ჩაირიცხოს მობილობით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტო წესის მიხედვით;

8.2 ჩარიცხვისა და კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტი/სკოლა და მიღებულ გადაწყვეტილებას წარუდგენს რექტორს;

8.3 იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ახორციელებს საერთაშორისო მობილობას, მას უკეთდება შესაბამისი შეთანხმება (learning agreement). პროგრამის კომპონენტებში შეთანხმებით განსაზღვრული კრედიტების გათვალისწინება ხდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კრედიტების აღიარების შემდეგ.

თავი III. დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 9. დოქტორანტურის აკადემიური სტრუქტურა

9.1 სადოქტორო პროგრამებს უნივერსიტეტის მისიისა და ინსტიტუტებში/ცენტრებში მიმდინარე კვლევითი პროექტების გათვალისწინებით შეიმუშავებს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭო და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

9.2 დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 5 წელია, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური პროგრამით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ ასრულებს პროგრამის მოთხოვნებს 5 წლის დასრულების შემდეგ, მას უფორმდება დამატებითი ერთწლიანი ხელშეკრულება შესაბამისი პირობების გათვალისწინებით;

9.3 დოქტორანტურაში სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. პროგრამის კომპონენტები, მათი თანმიმდევრობა და მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება ინდივიდუალურად ყოველი სადოქტორო პროგრამისათვის;

9.4 დოქტორანტმა შეიძლება ისარგებლოს აკადემიური შვებულებით, საუნივერსიტეტო წესის შესაბამისად;

9.5 უნივერსიტეტში შეიძლება არსებობდეს ერთობლივი პროგრამები, რომელთა პირობები განისაზღვრება შესაბამისი დოკუმენტაციით (ხელშეკრულებები, მემორანდუმები, კურიკულუმები და ა. შ.).

მუხლი10. სამეცნიერო ხელმძღვანელი

10.1 სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც აქვს აკადემიური ხარისხი და დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება. სამუსიკო ხელოვნების საკომპოზიტორო ან საშემსრულებლო მიმართულებაში ეს შესაძლოა იყოს ასევე საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კომპოზიტორი ან შემსრულებელი;

10.2 ხელმძღვანელი თანხმობას დოქტორანტობის კანდიდატის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე ადასტურებს სადოქტორო განაცხადის შესაბამისი ფორმის ხელმოწერით. სადოქტორო პროგრამაზე კანდიდატის ჩარიცხვის შემთხვევაში ხელმძღვანელი ერთვება დოქტორანტის სწავლის და კვლევის პროცესში;

10.3 საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. დასაშვებია, თანახელმძღვანელი მოწვეულ იყოს სხვა, მათ შორის სხვა ქვეყნის, აკადემიური დაწესებულებიდან;

10.4 იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე, მან განცხადება უნდა წარუდგინოს შესაბამის დარგობრივ კომისიას; სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის სურვილის შემთხვევაში, დოქტორანტმა წერილობითი მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამის დარგობრივ კომისიას.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის გეგმა და პორტფოლიოს პროექტი (პროსპექტუსი და პორტფოლიოს მონახაზი)

11.1 სასწავლო პროგრამით დადგენილ ვადაში დოქტორანტმა დარგობრივი კომისიის წინაშე განსახილველად უნდა წარადგინოს სადისერტაციო ნაშრომის პროექტი - პროსპექტუსი, რომელშიც აღწერილი იქნება:

ა) საკვლევი პრობლემა;

ბ) სამეცნიერო ლიტერატურის და სხვა მასალების (მაგ.: აუდიო და აუდიო-ვიზუალური, ასევე სანოტო პარტიტურები) მიმოხილვა;

გ) მიზანი, საკვლევი კითხვა/კითხვები და/ან ჰიპოთეზა;

დ) მეთოდოლოგია;

ე) კვლევის მოსალოდნელი შედეგები;

ვ) კვლევის გეგმა;

ზ) გამოყენებული ლიტერატურა.

11.2 სამუსიკო ხელოვნების დოქტორანტურაში სწავლისას სასწავლო პროგრამით დადგენილ ვადაში დოქტორანტმა დარგობრივი კომისიის წინაშე განსახილველად უნდა წარადგინოს სადოქტორო პორტფოლიოს მონახაზი, რომელშიც აღწერილი იქნება:

ა) პორტფოლიოს ტიპი;

ბ) საკვლევი საკითხები მუსიკოლოგიური და სანოტო ლიტერატურისა და აუდიო-ვიზუალური მასალის მიმოხილვა;

გ) პორტფოლიოზე მუშაობის მეთოდოლოგია;

დ) პორტფოლიოზე მუშაობის შედეგები;

ე) პორტფოლიოს გეგმა;

ვ) გამოყენებული ლიტერატურა და აუდიო/აუდიო-ვიზუალური მასალები.

თავი IV. სადისერტაციო ნაშრომის, სადოქტორო პორტფოლიოს წარდგენა, დაცვა და ხარისხის მინიჭება

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის, სადოქტორო პორტფოლიოს წარდგენის პროცედურა

12.1 დისერტანტმა სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამეცნიერო პუბლიკაციის ფორმალურ სტანდარტებს და გაფორმებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის დაცვით, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად და ელექტრონული სახით უნდა წარუდგინოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას;

12.2 დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს დარგობრივი კომისია;

12.3 საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით სადისერტაციო ნაშრომი შეიძლება ასევე წარმოადგენდეს გამოქვეყნებული ნაშრომების კომპილაციას, თუ (1) დისერტანტს აქვს სადისერტაციო თემით გამოქვეყნებული სულ ცოტა 4 სამეცნიერო სტატია Thomson Reuters Web of Science-ის ბაზაში შემავალ 0.5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, ან Scopus-ის ნუსხაში შემავალ 0.5-ზე მაღალი ციტირების ქულის (CiteScore) მქონე ჟურნალში (2), აქედან ორ ან მეტ სტატიაში დისერტანტი უნდა იყოს პირველი ავტორი. ამ შემთხვევაში დისერტანტმა უნდა მოამზადოს (ა) სათავო

გვერდი, სადაც მოცემულია დისერტაციის სათაური, დისერტაციის ავტორი, მისი მისამართი და სამუშაო ადგილი, ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელები, მადლობები და თანდართული შრომების ნუსხა; (ბ) დისერტაციის ვრცელი აბსტრაქტი ქართულ ენაზე (5000-7000 სიტყვა + საჭიროებისამებრ სურათები), რომელიც მოკლედ ახასიათებს თანდართული სამეცნიერო პუბლიკაციების საერთო თემას, ზოგად მეთოდოლოგიურ მიდგომას და შედეგებს დისკუსიის სახით; (გ) ერთად აკინძული გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციების ასლები. გამოსაქვეყნებლად მიღებული პუბლიკაციის შემთხვევაში, დისერტანტი ვალდებულია, ხელნაწერს დაურთოს წერილი რედაქციიდან, რომელიც ადასტურებს, რომ ნაშრომი მიღებულია გამოსაქვეყნებლად. სურვილისამებრ, დისერტანტს, იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა შეადგენს 4-ს, შეუძლია დაუმატოს ამ გამოქვეყნებულ 4 სტატიას ჯერ გამოუქვეყნებელი ერთი ან ორი სტატიის ხელნაწერი. სადისერტაციო ნაშრომმა უნდა გაიაროს შიდა რეცენზირება, რომელშიც რეცენზენტმა ზოგადად უნდა მიმოიხილოს დისერტაციაში შესული გამოქვეყნებული სტატიებიც; (ცვლილება2016.27.12N26ოქმი.)

12.4 დისერტაციაში ნაწილის სახით უნდა შევიდეს შემაჯამებელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე, რომელშიც წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი სამეცნიერო შედეგები, დასაბუთებულია მათი სამეცნიერო სიახლე, ღირებულება და აქტუალობა შესაბამის სამეცნიერო დისციპლინაში;

12.5 ნაშრომთან ერთად დისერტანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ცნობა დაგროვილი კრედიტების შესახებ;

ბ) ხელმოწერილი განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი მისი დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს;

გ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და რეცენზენტის/რეცენზენტების მიერ ნაშრომის შუალედური შეფასებები (ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა);

დ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი დარგობრივი კომისიის დასკვნები დოქტორანტის საერთაშორისო პუბლიკაციის/პუბლიკაციების ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

12.6 სამუსიკო ხელოვნების დოქტორანტურაზე სწავლისას, დისერტანტმა სადოქტორო პორტფოლიო, რომელიც შეესაბამება შემოქმედებითი/საშემსრულებლო პორტფოლიოს პუბლიკაციის ფორმალურ სტანდარტებს და გაფორმებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის დაცვით, ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად და ელექტრონული სახით უნდა წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს;

12.7 პორტფოლიოში შემავალი სანოტო პარტიტურები გამზადებული უნდა იყოს ერთ-ერთი სანოტაციო კომპიუტერული პროგრამის საშუალებით და წარმოდგენილი უნდა იყოს ქაღალდზე, ამობეჭდილი და აკინძული. აუდიო და აუდიო-ვიზუალური ჩანაწერები უნდა წარმოდგენილი იყოს ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული ციფრული ფორმატით;

12.8 პორტფოლიოს თანმხლები წერითი კომენტარი ან სადოქტორო ნაშრომი უნდა იყოს ქართულ ენაზე. სხვა ენაზე მათი შესრულების საკითხს წყვეტს დარგობრივი კომისია;

12.9 პორტფოლიოში ნაწილის სახით უნდა შევიდეს შემაჯამებელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე, რომელშიც წარმოდგენილია სადოქტორო პორტფოლიოს ძირითადი არტისტული შედეგები, დასაბუთებულია მათი სიახლე, ღირებულება და აქტუალობა შესაბამის დისციპლინაში;

12.10 პორტფოლიოსთან ერთად დისერტანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ცნობა დაგროვილი კრედიტების შესახებ;

ბ) ხელმოწერილი განაცხადი, რომ სადოქტორო პორტფოლიო მისი დამოუკიდებელი შემოქმედებითი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს;

გ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და რეცენზენტის/რეცენზენტების მიერ ნაშრომის შუალედური შეფასებები (ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა);
დ) ინფორმაცია პორტფოლიოს საჯარო შესრულების შესახებ თანმხლები რეცენზიებით დარგის აღიარებული სპეციალისტებისგან.

მუხლი 13. საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება

13.1 დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს სამეცნიერო პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებულ თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Thomson Reuters Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue). საბუნებისმეტყველო, ზუსტი, საინჟინრო და მედიცინის მიმართულების დოქტორანტებმა უნდა გამოაქვეყნონ სულ მცირე 2 სტატია Thomson Reuters Web of Science—ის ბაზაში შემავალ 0.5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში ან Scopus-ის ნუსხაში შემავალ 0.5-ზე მაღალი ციტირების ქულის (CiteScore) მქონე ჟურნალში. სხვა მიმართულების დოქტორანტს გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 1 სტატია Thomson Reuters Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue ნუსხებში შემავალ თემატურ ჟურნალებში. სამეცნიერო პუბლიკაციებში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი; სამუსიკო ხელოვნების კომპოზიციის და საშემსრულებლო მიმართულებების დოქტორანტებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ ერთი საჯარო შესრულება, რომელსაც თან ახლავს დარგის აღიარებული სპეციალისტების რეცენზიები. საჯარო შესრულებაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი;(2016.27.12.N26)

13.2 დოქტორანტი უნდა იყოს 13.1 პუნქტის თანახმად გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციის პირველი ან მეორე ავტორი. დარგობრივი კომისია ფაკულტეტს/სკოლას წარუდგენს დასკვნას სადოქტორო ნაშრომთან პუბლიკაციის შესაბამისობის შესახებ. ასეთი შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში პუბლიკაცია ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც ამზადებს დასკვნას ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან პუბლიკაციის შესაბამისობის შესახებ. დარგობრივი კომისიის ან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება არ ჩაეთვლება დოქტორანტს დაკმაყოფილებულად.

მუხლი 14. სადისერტაციო საბჭოს შექმნა და სადისერტაციო ნაშრომის/პორტფოლიოს შეფასება

14.1 დარგობრივი კომისიის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნების მიღების შემდეგ, გონივრულ ვადაში, ფაკულტეტის/სკოლის საბჭო მიმართავს აკადემიურ საბჭოს სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისა და რეცენზენტის/რეცენზენტების დანიშვნის მოთხოვნით;

14.2 დარგობრივი კომისიის მიერ წარდგენილი სიიდან აკადემიური საბჭო ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს სულ მცირე სამი წევრის შემადგენლობით და განიხილავს და ამტკიცებს ამავე კომისიის მიერ წარდგენილი რეცენზენტის/რეცენზენტების კანდიდატურას. საბჭოს წევრები და რეცენზენტები შეიძლება მოწვეულ იყვნენ სხვა, მათ შორის საერთაშორისო, აკადემიური დაწესებულებიდან. ამასთან, მათ უნდა ჰქონდეთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. სადისერტაციო საბჭოს მუშაობას ესწრება ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელიც აფორმებს სათანადო დოკუმენტებს;

14.3 სამუსიკო ხელოვნების კომპოზიციის და საშემსრულებლო მიმართულებებზე დოქტორანტის დასრულებული პორტფოლიო სარეცენზიოდ წარედგინება შიდა და გარეშე რეცენზენტებს, რომლებიც დარგის აღიარებული სპეციალისტები არიან - პროფესორი, ემერიტუს პროფესორი იმავე და სხვა უნივერსიტეტიდან ან, გარეშე რეცენზენტის შემთხვევაში, ასევე საერთაშორისო რეპუტაციის მქონე კომპოზიტორი ან შემსრულებელი;

14.4 შეფასება ხორციელდება შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.(ცვლილება 27.09.2016)

14.5 საბოლოო შეფასებას სადისერტაციო საბჭოს წევრები წერენ კონსენსუსის გზით.

14.6 თუ დისერტანტმა მიიღო უარყოფითი შეფასება - insufficienter - არადამაკმაყოფილებელი, მან გადამუშავებული ნაშრომი უნდა წარადგინოს ერთი წლის განმავლობაში, ხოლო, თუ დისერტანტმა მიიღო შეფასება sub omni canone - სრულიად არადამაკმაყოფილებელი, მან უნდა წარადგინოს ახალი ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში.

მუხლი 15. დისერტაციის/პორტფოლიოს დაცვა

15.1 დისერტაციის/პორტფოლიოს დაცვა ხდება სადისერტაციო საბჭოს წინაშე. დისერტაციის/პორტფოლიოს დაცვის შესახებ ინფორმაცია (ადგილი, დრო, თარიღი) ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ნაშრომის დაცვამდე ერთი კვირით ადრე.;(2017.28.03.N3)

15.2 დაცვის ენა არის ქართული, თუ დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი;

15.3 დაცვის პროცესის ხანგრძლივობას ადგენს სადისერტაციო საბჭო;

15.4 დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის/პორტფოლიოს წარდგენას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებას;

15.5 ხელმძღვანელს აქვს დაცვაზე დასწრების უფლება. დისერტაციის და დისერტანტის შესახებ ის მოსაზრებას გამოთქვამს იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო საბჭო მას შეკითხვით მიმართავს;

15.6 დისერტაციის და სადოქტორო პორტფოლიოს დაცვის შეფასება ხდება 14.4 პუნქტში მოცემული სისტემის მიხედვით.

მუხლი 16. ხარისხის მინიჭება და გამოქვეყნების ვალდებულება

16.1 დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო;

16.2 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა;

16.3 დოქტორანტის მიერ 14.6. პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემდეგ, სადისერტაციო საბჭოს მიერ ისევ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი სწავლის შედეგების მიუღწევლობის გამო;

16.3 უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ ერთი თვის ვადაში ატვირთოს დისერტაცია/პორტფოლიო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
16.4 დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა დისერტაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთვის შემდეგ.

თავი V. დავები, დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა და დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა

მუხლი 17. გასაჩივრების პროცედურა

დოქტორანტურაში სწავლის პროცესში წარმოქმნილ ნებისმიერ პრობლემას, წერილობითი განცხადების საფუძველზე, განიხილავს დარგობრივი კომისია, ხოლო სადისერტაციო ნაშრომისთვის მსვლელობის მიცემის შემდეგ - სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 18. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება

18.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ან შეჩერება ხდება საუნივერსიტეტო წესისა და ამ დებულების მიხედვით;
18.2 შესაბამისმა დარგობრივმა კომისიამ შეიძლება უნივერსიტეტის რექტორს მიმართოს დოქტორანტისთვის სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნით, თუ

ა) დოქტორანტი ზედიზედ ორჯერ ვერ დაიცავს პროსპექტუსს ან დისერტაციას;
ბ) დოქტორანტის მიერ დარღვეულია უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის კოდექსი და სხვა საუნივერსიტეტო წესები;
გ) დადასტურდა პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების შემთხვევა;
დ) დოქტორანტი არ ან ვერ შეასრულებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს დადგენილ ვადებში.

მუხლი 19. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

19.1 დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით, აკადემიური საბჭოს წინაშე შეიძლება დაისვას დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობის საკითხი აკადემიური და კვლევის ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში;
19.2 აკადემიური ხარისხი ბათილად იქნება ცნობილი, თუ დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომში დადგინდა პლაგიატი;
19.3 აკადემიური საბჭო ამ გადაწყვეტილებას იღებს თავად ან ქმნის შესაბამის კომისიას.

მუხლი 20. დოქტორანტურაში სწავლის საფასური

20.1 სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, დოქტორანტურაში სწავლა უფასოა 5 წლის განმავლობაში. სწავლა ფასიანია უცხოეთის ქვეყნის მოქალაქისთვის. შესაძლებელია აგრეთვე, დოქტორანტურაში მიღება გამოცხადდეს ფასიან ადგილებზე;
20.2 დოქტორანტურაში სწავლის მეექვსე წლიდან დოქტორანტმა უნდა გადაიხადოს იმ დროისათვის დადგენილი სწავლის საფასური;
20.3 თუ დოქტორანტს 1 წლის შემდეგ არ ექნება დაცული პროსპექტუსი, ან ვერ დაიცავს პროსპექტუსს კომისიის წინაშე (განმეორებითი დაცვის შემდეგაც) და/ან სწავლების მე-7 სემესტრის ბოლოს არ წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის პირველ ვერსიას, მან უნდა გადაიხადოს სწავლის საფასური ყოველი შემდეგი სემესტრისათვის უნივერსიტეტში დადგენილი საფასურის რაოდენობითა და წესით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, 5 წლის შემდეგ დამატებით აფორმებს ერთწლიან ხელშეკრულებას, მას ეკისრება სწავლის გადასახადი ხელშეკრულების გაფორმების დროისთვის განსაზღვრული სწავლის გადასახადის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა

პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები დამატებითი კონტრაქტის დასრულების შემდეგ, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

თავი VI. გარდამავალი დებულებები
მუხლი 21.

21.1 ამ დოკუმენტის მე-13 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებში განხორციელებული ცვლილებები ეხება წინა წლებში ჩარიცხულ დოქტორანტებსაც.

21.2. 13.3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების (სამეცნიერო პუბლიკაციის პირველი ან მეორე ავტორობა, შესაბამისობა სადისერტაციო ნაშრომთან) დაკმაყოფილებისაგან შეიძლება გათავისუფლდნენ:

ა) 2008 წლის 20 მარტიდან 2015 წლამდე ჩარიცხული ყველა მიმართულების დოქტორანტები 13.1 პუნქტით განსაზღვრულ ჟურნალებში გამოქვეყნებული 2 სამეცნიერო პუბლიკაციის წარმოდგენის შემთხვევაში;

ბ) 2015 წლამდე ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტები, რომლებსაც აქვთ გამოქვეყნებული ორი სტატია არარეფერირებულ ჟურნალში.

გ) 2008 წლის 20 მარტამდე ჩარიცხული ყველა მიმართულების დოქტორანტები (გარდა ბიზნესის ადმინისტრირებისა), 13.1 პუნქტით განსაზღვრულ ჟურნალებში 1 სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების შემთხვევაში;

21.3 დებულებით განსაზღვრული სწავლის ვადის ამოწურვის შემთხვევაში 2015 წლამდე ჩარიცხულ დოქტორანტებთან ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ამოქმედდეს წინამდებარე დებულების მე-13 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ფორმა **№1**

ფაკულტეტი:

დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა

ნაწილი 1.

პირადი მონაცემები აპლიკანტის შესახებ:

აპლიკანტი _____ _____ | | | | | | | | | | | |

სახელი *გვარი* პირადი ნომერი

ფაქტობრივი მისამართი:

_____

_____

ელ-ფოსტა: _____ **ტელ. ნომერი:** _____ *(სახლი)*

_____*(სამსახური)* _____ *(მობილური)*

ნაწილი 2.

სადოქტორო პროგრამები: *(მიუთითეთ თქვენთვის სასურველი სადოქტორო პროგრამა)*

ნაწილი 3.

საჭირო დოკუმენტები:

გთხოვთ, სააპლიკაციო ფორმას თან დაურთოთ შემდეგი დოკუმენტები:

1. მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
2. პირადობის მოწმობის ასლი

3. ავტობიოგრაფია (CV);

4. 2 ფოტოსურათი 3X4 - ზე;
5. პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები მათი არსებობის შემთხვევაში. (გთხოვთ, იხილოთ პროგრამის აღწერა);

დამატებითი ინფორმაცია:

ინგლისური ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან აპლიკანტები, რომლებიც წარმოადგენენ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ ვალიდურ საერთაშორისო სერტიფიკატს (**FCE, IELTS, TOEFL).** ასეთი დოკუმენტის ეკვივალენტად ჩაითვლება ინგლისურენოვანი პროგრამის ბაკალავრის ან მაგისტრის დიპლომი.

სააპლიკაციო ფორმის შევსებით ვადასტურებ მოცემული ინფორმაციის სისწორეს. გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის _____ ფაკულტეტის/სკოლის აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

_____

სახელი და გვარი (სრულად)

_____

ხელმოწერა

_____

თარიღი